სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

23 ივლისი, 2026 წ.

აკადემიური საბჭოს
დადგენილება № 06-01/135

ბსუ-ში 2025-2026 წელს განსახორციელებელი მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის „უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების ანალიზი აჭარის ა/რ-ის მაგალითზე“ საბოლოო პროგრამული ანგარიშის მოსმენის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე–8 მუხლის, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 09 ივნისის №36 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შესარჩევი კონკურსის დებულების“ მე-5 და მე-6 მუხლების, „ბსუ-ში 2025-2026 წლებში განსახორციელებელი მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 16 იანვრის №01-02/01 ბრძანების, „ბსუ-ში 2025-2026 წელს განსახორციელებელი მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შესარჩევი კონკურსის შედეგების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2025 წლის 07 აპრილის №06-01/33 დადგენილების, პროექტის ხელმძღვანელების/მენეჯერის თამარ ფოლადაშვილის სამსახურებრივი ბარათისა (MES 6 26 0000827529, 30.06.2026) და აკადემიური საბჭოს 2026 წლის 23 ივლისის სხდომაზე წარმოდგენილი მოხსენების საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დაადგინა:

1. ცნობად იქნეს მიღებული ბსუ-ში 2025-2026 წელს განსახორციელებელი მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის **„უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების ანალიზი აჭარის ა/რ-ის მაგალითზე“** (ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2025 წლის 07 აპრილის №06-01/33 დადგენილების დანართი №8), ხელმძღვანელის/მენეჯერის, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორ **თამარ ფოლადაშვილის** მიერ წარმოდგენილი **საბოლოო პროგრამული ანგარიში** შესრულებული პროექტის თაობაზე (წინამდებარე დადგენილების **№1 დანართი** - გეგმა-გრაფიკის შესაბამისად შესრულებული აქტივობების, პროექტის ბიუჯეტის (სულ 10 000 ლარი) შესაბამისად <u>გაწეული ხარჯების</u> (ჯამში 7980 ლარი) შესახებ.

2. დადგენილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

3. წინამდებარე დადგენილება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს (გ. ქათამაძე), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, ბსუ-ს მიზნობრივი პროექტის ხელმძღვანელს, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, ადამიანური რესურსების

მართვის სამსახურს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარიას).

4. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქ. №30).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი **ტიტე არუშიძე**